ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 11 იანვარი № 1351

ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ... ლებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ... ის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგ-... კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

შაბათს, 13 იანვარს, 10 საათზე,

ილია ლუკას-ძის ბახტაძის

(ილია ხოზელი)

გადაცვალებიდან ნახევარი წლის შესრულების დღეს ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში იქმნება წირვა და პანაშვიდი, რასაც მამა, დედა, დანი და ძმანი მიცვალებულისა ატყობინებენ მეგობართ, ნათესავთ, ნაცნობთ და მისი ნიჭის პატივის მცემელთ. 2—1

„მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“

ერთად ღირს წელიწადში: ქალაქ გარედ მკვიდრებისათვის 11 მან., ქალაქ ... ილისის მკვიდრეებისათვის 10 მანეთი. ფასის განაწილება: ხელის მოწერის ... ოს 6 მან.—ქალაქ გარეთ ხელის მომწერთათვის, ტფილისელ ხელის მომ-... რთათვის 5 მანეთი. შემდეგ, აპრილის 1-ლს 3 მან. და ეკნენისთვის 1-ლს ... მანეთი.

„ცნობის ფურცელი“ ცალკე—წელიწადში 6 მან., ნახევარ წე-... ლიწადში 4 მან. და თვეში 75 კაპ.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 იანვარს 1901 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქ-ნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ

ბედნიერი დღე

კომედია 3 მოქმ. თხზ. ოსტროვსკისა და სოლოვიევისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

მე მინდა კნეინა გავხდე

კომედია 2 მოქმედ. თხზ. ზ. ანტონოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელისა, ნებიერიძისა, მდივანი და გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედეონოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, ავალიანი და სხ.

დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ოპერეტის არტისტები ბ. თუმანსკი და ბოკოვი: ბ.ბ. ბარათაშვილი და ქართველიშვილი.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამითაცხადებს, რომ მიხაილოვის ქუჩაზედ, ქალაქის სახლში, სადაც ეხლა „კრუჟოკია“ მოთავსებული, ქირავდება რვა ოთახი ზედა ... ართულში. შეიძლება ნომრებად გადაკეთდეს და იქნება როგორც სასტუმრო „კრუ-... ჟკის“ გვერდით. 3—3

მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესი ბრძანება.

ტფილისის მაზრის სახაზინო ტყის მცველებს სოფელ წავკისიის მცხოვრებს ივანე ყარაგლაშვილსა (იგივე სოსიაშვილი), ა.ზნ. დიმიტრი ბადრიძეს და ქუთაისის გუბერნიის კლეტს ივსე ღლონტს ებოძათ ვერცხლის მედლები ეფლზედ სატარებლად.

ოქროს მედლები: თიონეთის მაზრის, ს. ჯუბათის მცხოვრებს, სახაზინო ტყის მცველს მიხეილ მაჭარელს, ბათუმის მეორე კიდდის ვაჭარს ნიკ. საბაშვილს, ამიერკავკასიის საქტიზო მოხელეთ ფასნაოზ ფიჩხაიას და კირილე ცეცხლაძეს.

ვერცხლის მედალი: — ქ. ზუდიდის მეორე კიდდის ვაჭარს პავლე წკირიას, სავაჭრო დეპუტატს დ. სამტრედიასს სპირიდონ სიხარულიძეს და სიდნადის სამაზრო ხაზინის ნაფიც კლეტს ივანე შავლიშვილს.

სახალხო სახლი და ქალაქის თვითმმართველობა.

არ იქმნა და არაფერი ეშველა ტფილისში „სახალხო სახლი“-ს აშენების საქმეს! რამდენიმე წელიწადია აგერ ლაპარაკის მეტი არა კეთდება-რა. სახალხო წარმოდგენები და კითხვები იმართებიან ავჭალის ქუჩაზე არსებულ „სარაიაში“, რომელშიაც ყოვლად შეუძლებელია საქმე რიგიანად მოეწყოს. სცენა პატარა, კულისები თითო არშინი, თვით შენობა ორას კაცისთვისაც ვიწრო,—ყოველივე ეს მრავალ სხვა უხერხულობასთან, უსიამოვნობის მეტს ვერაფერს იწვევენ. შენობის ვიწროობამ და უხერხულობამ დაჰბადა უთანხმოება თვით კომისიაშიაც, რადგანაც კითხვების მმართველები და წარმოდგენების გამგენი ერთმანეთს უშლიან და ყოველ სხდომაზე მათი საჩივრების გარჩევაა და ერთი დავიდარაბა. ყველაზე უფრო სავალალო ის არის, რომ არსებული შენობა ვერ იტევს მრავალ ხალხს, რომელიც მოწადინებულია იაროს სახალხო წარმოდგენებზე: ერთი იმდენი, რამდენიც თეატრში შედის, სახლში ბრუნდება გულდაწყვეტილი.

ნუ-თუ ასეთი მდგომარეობა სახალხო საქმისა სამარცხვინო არ არის ტფილისათვის? რუსეთში ძვირად მოიძებნება ა ქამად დიდი ქალაქი, რომელსაც არ ეზრუნოს ამ მხრით მშრომელთა გასართობადდ და სასწავლებლად. ტფილისში ერთი მუჭა ინტელიგენტი პირთა დიდის ვაი-ვაგლახით და ჭაპანწყვეტით მუშაობს ამ ასპარეზზე, მაგრამ შველას ვერსაიდგან ჰხედავს და გული უტყდება. დროა საქმეს ეშველოს თორემ უბინობამ ლამის ჩაფუშოს დიდად საჭირო საქმე...

პატრონად და ხელის შემწყობად ამ საქმეში ქალაქის თვით-მმართველობა უნდა იქმნეს, მაგრამ ჩვენი გამგეობა საოცარს გულ-გრილობას იჩენს. მას 500 მანეთის სუბსიდიით ჰსურს მოიშოროს თავიდან ხალხის წინაშე მოვალეობა. „ყოველივე მდიდარ უბნებს, არაფერი მშრომელ მცხოვრებთ“,—თითქმის ეს დევიზი ასულდგმულებს მას და სრულს ცალმხრივობას აძლევს მის მოღვაწეობის მიმართულებას. თუ ეს ასე არ იყოს, ნუთუ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ რამდენიმე წელიწადში მან ცოტათი მაინც ვერ წასწია წინ „სახალხო სახლის“ აშენების საქმე?!.

საქმის დამწყები კერძო პირები და კერძო საზოგადოებაა. მათის ენერგიით დღეს შეგროვდა 12—15 ათასი მანეთი, მაგრამ ამ ფულით რას გააკეთებ? მიჰმართეს ქალაქის თვით-მმართველობას და მან იმის მეტი დახმარება ვერ აღმოუჩინა საქმეს, რომ მიუთითა საქმის დამწყებთ ყორლანოვის მიერ შეწირულ ადგილზე, მტკვრის პირას, ვერის ხიდთან. მაგრამ, თუ საქმეს რიგიანად ჩაუკვირდებით, დარწმუნდებით, რომ ქალაქის მმართველობის მიერ არჩეული ადგილი საქმეს დაღუპავს და არ უშველის. მართლაც, ეს ადგილი უსაძაგლეს ორმოს წარმოადგენს: ირგვლივ ნაგავი, საშინელი ნოტიო, მუდამ ქარი და ამასთანავე იმის შიში, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელი შენობა ადიდებულ წყლის ქვეშ მოჰყვება! ნუ თუ ქალაქის გამგეობამ და ამ საქმის გულ-შემატკივრებმა უმჯობესი ადგილი ვერსად მოძებნეს? უბედურებაც ის არის, რომ მათ ნაკლებად შესტკივათ გული ამ საქმისათვის, თორემ ადგილიც მოიძებნებოდა და ამდენხანს საშუალებაც აღმოჩნდებოდა.

ფელეტონი

შაჰ-აბაზი

შაჰ-თამაზის სიკვდილის შემდეგ 1576 წ. ... ასრსეთი ცუდს მდგომარეობაში ჩავარ-... . მის შვილების ჰაიდარის, ისმაილის ... ხუდა-ბენდეს მეფობა წარმოადგენს სა-... ლმწიფოს არეულობას და დაცემულებას. ... ყაენები ლოთობაში ატარებენ დროს, ... ოლოდ გარყვნილებაში ჰპოვებენ სიამოვ-... ებას და ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავს ... იცხელებენ. ამით ისარგებლეს სპარსე-... ს მტრებმა: უზბეკები და სხვა თათრის ... ომები ჩრდილოეთიდან და ოსმალები და-... ასლეთიდან ესხმებოდნენ სპარსეთის საზღ-... ებს და იპყრობდნენ განაპირა ქალაქებსა ... ქვეყნებს.

სპარსეთის საბედნიეროდ შაჰ-ხუდა-ბენ-... ს ჰყავდა შვილები ჰამზა და აბაზი, რო-... ლნიც არა ჰგავდნენ თავიანთ მამას და ბიძებს. სპარსელები სიამოვნებით შესცქეროდნენ მათ და ელოდნენ მათგან ქვეყნის ხსნას. მაგრამ, როგორც ეს სჩვევია სპარსეთს, ამ ორს ყაენისშვილს თავ-თავისი თაყვანისმცემლები და მომხრეები ჰყავდნენ, რომელნიც ჰფიქრობდნენ თავიანთ სათაყვანო გამეფებინათ მამის ადგილზე. უეჭველი იყო, რომ ამ ორთ ყაენის შვილთა შორის ცილობა მოხდებოდა ტახტის დაჭერის დროს და ის გაიმარჯვებდა, რომელიც უფრო ცბიერი და საშუალებათა გაურჩეველი იქნებოდა. ასეც მოხდა. მამის ტახტი დაიჭირა აბაზმა.

ჯერ კიდევ 1582 წ., როდესაც ოცდა ოთხის წლის აბაზი ითვლებოდა ხორასნის მთავარ-მართებლად, მის მომხრე დიდებულები შეიკრიბნენ ქალაქს ნიშაპორში და აბაზი გამოაცხადეს სპარსეთის ყაენად. ამის გაგონებაზე შაჰ-ხუდა-ბენდემ გაილაშქრა ხორასანში, მაგრამ ვერაფერს გახდა. პირველად მიადგა ტურბუტის ციხეს, მაგრამ ვერ აიღო. შემდეგ გარს შემოადგა შირაზს, სადაც გამაგრებული იყო თვით აბაზი თავის მომხრე დიდებულებით, მაგრამ აქაც ვერაფერი გააწყო-რა და უკან გამობრუნდა. ხორასანი კი დარჩა აბაზს. აბაზის მომავალი მეფობა ჯერ კიდევ საეჭვო იყო, ვიდრე მისი უფროსი ძმა ჰამზა ცოცხალი იქნებოდა. ამიტომ აბაზისთვის საჭირო იყო ჰამზა მომკვდარიყო. 1585 წ., როდესაც ჰამზა ძლევა-მოსილი ლაშქრობდა არეზის გამოღმა ოსმალების წინაღმდეგ, მისმა დალაქმა ყელი გამოსჭრა მას მის საკუთარს კარავში და დაიმალა, ხოლო აბაზი კი თავისუფლად წამოვიდა ხოროსნიდან ყაზვინს და დაიჭირა ყაენის ტახტი. ამ დღიდან ისტორია აღარ იხსენიებს შაჰ ხუდა-ბენდეს.

ამნაირად გამეფებული შაჰ-აბაზი შეუდგა სამეფოს მართვასა და იმეფა 43 წელიწადი. მის მეფობას დიდის ქებით და მადლობით იხსენიებს სპარსეთის ისტორია, მაგრამ იმავე დროს საქართველოს ისტორიაში შაჰ-აბაზის სახსენებელი მუდამ ნაძრახი და საწყევი იქნება. შაჰ-აბაზმა სპარსეთი აიყვანა პოლიტიკური ძლიერების უმაღლესს ხარისხამდე, ააშენა ქვეყანა და გაამდიდრა ერი, მაგრამ, მეორე მხრით, იმავე დროს მან დასცა ძირიანად საქართველოს პოლიტიკური ძალ-ღონე, მიანგრ-მოანგრია საუკუნოებით ნაშენი ჩვენი ქვეყანა, მოსწყვიტა ისედაც მცირე ქართველი ერი და, რაც გადარჩა, აჰყარა და გადაასახლა სპარსეთში. მის მოქმედება ეკუთნის ორი ქვეყნის ისტორიას და ორისავე ქვეყნის ისტორია სულ ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ მსჯავრსა სდებს მის მოქმედებას. ამიტომ საჭიროა გავიცნოთ ამ კაცის პიროვნება, რომ ვიცოდეთ რა იყო და ვინ იყო ეს ადამიანი, რომელმაც იმოდენა სიმწარე და უბედურება მიაყენა ჩვენ ქვეყანას.

შაჰ-აბაზი იყო გონიერი, მხნე და მამაცი. მისი სურვილი იყო, რომ გაეძლიერებინა თავისი სახელმწიფო, დაემკვიდრებინა მაში

„სახალხო სახლის“ აშენების საქმე ერთ კერძო კომიტეტს აქვს მინდობილი. ჩვენ არ ვიცით, რა მდგომარეობაშია ამ კომიტეტის საქმე დღეს, მაგრამ, რაც უნდა ეცადოს, მარტო ამ საქმეს ვერ შეასრულებს. აუცილებლად საჭიროა, ქალაქის თვით-მმართველობამ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს და წასწიოს წინ ხალხისთვის საჭირო საქმე. მის მოვალეობას მარტო ის კი არ შეადგენს — იზრუნოს ქალაქის გარეგან მოწყობაზე, არამედ ხალხის სულიერ მოთხოვნილებასაც შეჰხედოს და ეცადოს მის დაკმაყოფილებას.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 იანვარი

პეტერბურგი. 8 იანვარს, ხელმწიფე იმპერატორის, დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის და დიდის მთავრინას მილიცა ნიკოლოზის ასულის თანადასწრებით, აკურთხეს ორი პირველი სახლი იალტის სანატორიისა ჭლექიან ავადმყოფთათვის; სანატორია არსდება იმპერატორის ალექსანდრე მესამის სახსოვრად.

კოუსი. იმპერატორი ვილჰელმი, უელსის პრინცი და სხვა უმაღლესი პირები მიბრძანდნენ ოსბორნში.

ლონდონი. შინაგან საქმეთა მინისტრი რეტჩი, განმეორებული ბრძანების მიღების შემდეგ, წავიდა ოსბორნში.

ლონდონი. ოფიციალური ბიულეტენი, დილით გამოცემული: „ავადმყოფი დედოფალი ისევ იმ მდგომარეობაშია; მთელი დღის განმავლობაში ცოტათი უკეთობა შეეტყო; საჭმელი ადვილად მიიღო; ძილი მშვიდობიანი აქვს“.

ლონდონი. უტყუარ წყაროებიდგან იტყობინებიან, რომ დედოფლის უეცარი ავად გახდომა წვეთის დაცემამ გამოიწვია. ამის გამო დედოფალს ენა წაერთვა და საჭმელსაც ძლივს იღებს. უელსის პრინცმა ოთხი საათი დაჰყო დედასთან მარტო, როდესაც უკანასკნელი ავად გახდა და უგრძნობლად იყო. მთელი ერი აღელვებულია იმ ცნობებით, რომელიც ოსბორნიდან მოდის; ყველა სულგანაბული მოელის დედოფლის ავადმყოფობის ამბებს.

ბერლინი. ვალდერზეე იტყობინება პეკინიდან, რომ გუშინ ტიანცზინიდან, მაიორის გოფმანის წინამძღოლობით, წავიდა რაზმი ციხლის ოლქში, ტიანცზინიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ, სადაც ავაზაკთა ბრბოები გაჩნდნენ.

იოჰანესბურგი. დევეტი, რომელიც ამას წინად ბოტას შეუერთდა ტრანსვაალში, გენერალი დევეტი არ არის. ჰფიქრობენ, რომ გენერალი დევეტი ისევ ორანჟეს რესპუბლიკაში იმყოფებაო.

პარიზი. პალატა. ასსოციაციების პროექტის განხილვის დროს ვალდეკ-რუსსომ უპასუხა ორატორებს, რომ პროექტის საგანი არის — აღადგინოს უცილობელი ბატონობა მოქალაქობრივ ელემენტებისა. მთავრობა აუცილებელ საჭიროებად სთვლის პროექტის მიღებას. ვალდეკი ახასიათებს პროექტის პრინციპებს და საზოგადო მნიშვნელობას; მისი სიტყვით, პროექტი ეხება ყველა ასსოციაციებს და ნებასა ჰრთავს ყოველგვარ კონგრეგაციების არსებობას, რომელნიც კანონს ემორჩილებიან და კანონის ძალით არსებობენ. პროექტს არავითარი ცუდი განზრახვა არ აქვს ეკკლესიის წინააღმდეგ. მთავრობას ჰსურს ამ პროექტით აღადგინოს მშვიდობიანობა, და წესიერება და დაიცვას დაწესებულებათა ნორმალური მოღვაწეობა. (ტაშის ცემა) პალატამ უმეტესობით დაადგინა ყველგან გააკრას ვალდეკის სიტყვა. სხდომა დაიხურა.

ლონდონი. ბიულეტენი დილის 8 საათზე. „დედოფალი თანდათან სუსტდება; დილით მდგომარეობა ხელ-ახლად უარესი შეიქმნა“.

კოუსი. დილის 5 საათი და 30 წამი. დედოფლის ავადმყოფობის მდგომარეობა არაფრით არ შეცვლილა და ეს მდგომარეობა წინანდებურად ითვლება მეტის-მეტად საშიშოდ.

ლონდონი. ბიულეტენი: „შუადღის აქეთ არავითარი ცვლილება არ მომხდარა. წინანდელი ბიულეტენის შემდეგ დედოფალმა იცნო ზოგიერთი წევრი სამეფო სახლობისა. ამ ჟამად დედოფალს სძინავს“.

ლონდონი. როდესაც გერმანიის იმპერატორი შევიდა უავგუსტოესის ავადმყოფის ოთახში, დედოფალმა იცნო თავისი შვილი-შვილი, მაგრამ იმპერატორმა ცოტა ხანი დაჰყო დედოფალთან, რადგანაც ექიმები ჰშიშობენ, რომ ავადმყოფი არ აღელვებულიყო. რამდენიმე ხნის შემდეგ, იმპერატორმა ისადილა უელსის პრინცთან და პრინცესასთან და სამეფო სახლობის სხვა წევრებთან ერთად.

პეკინი. იმპერატორის ბრძანებით, ტელეგრაფების დირექტორი შენი დაინიშნა ვაჭრობის მინისტრის ამხანაგად.

9 იანვარი

ლონდონი. 9 იანვარს, დედოფალი გარდაიცვალა.

გაგა. კრიუგერი წავიდა დღეს უტრეხტში, სადაც რამდენიმე კვირას დაჰყოფს, კრიუგერი ამ ჟამად კარგად არის.

ჟურნალ-გაზეთებიდან

※ «დეილი ტელეგრაფის» კორესპონდენტს ამას წინათ საუბარი ჰქონია ბურების წარმომადგენელ დოქტორ დეიდსსა და ფიშერთან. კორესპონდენტს უკითხავს, რისთვის აგძელებთ ასე ომს, რის იმედი გაქვთ განა. ფიშერს უპასუხნია ამაზედ: «ინგლისელებს ვერა აქვთ კარგად წარმოდგენილი ნადვილი საქმეთა მდგომარეობა სამხრეთ-აფრიკაში. ჩვენი, ბურების, მდგომარეობა,-უთქვამს ფიშერს,—არც ისე უიმედოა და ჩვენ სულაც არ ვცდებით, როცა მომავალს ასეთის სასოებით შევეურებთო.» შემდეგ ფიშერს დაუმატებია, რომ სამხრეთ-აფრიკის უმაღლესი კომისარი, რომ ძველებური ინგლისელი ჯენტლმენი უოფიდიეო — არც ომი მოუხდებოდათ ინგლისსა და რესპუბლიკებსაო. მილნერის მოქმედება კი მხოლოდ უმაუოფიდებსა სოესდა და ხალხს აღელვებიდაო.

კორესპონდენტს უკითხავს შემდეგ, არ გეშინიათ მაინც რომ ინგლისის ᲐᲓᲕᲐ ჯარმა მთლად გაწყვიტოს ოქვენი ჯარიც და ერიცაო. დეიდსს და ფიშერს უპასუხნიათ ამაზედ: შეიძლება, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ მთელი ჩვენი ჯარი მთლად დამარცხდეს და ამოსწყდეს, მაგრამ ჩვენი ერი კი — არასოდეს! ჩვენი ჯარის კაცები არ დასტოვებენ ბრძოლის ველს, სანამ ან სულ არ დასწყდებიან, ან ტუვედ არ იქნებიან წაუვანილნი. შიშშილისა იმათ არ ეშინიათ, შეჩვეულები არიან; ამას გარდა, ისინი შოვობენ საჭმელსა და სამხედრო მასალას ინგლისელების საწყობებიდან. ბურების ხარჯი ომზედ სათქმელი არ არის. ინგლისს კი უდიერი ხარჯი მოსდის და საუკუნოთ ხომ ვერ გაბამს ომსა; მოვა დრო როდესაც ინგლისი ვეღარ შესძლებს ვეღარც ფულის და ვეღარც კაცების გზავნას სამხრეთ აფრიკაში». ფიშერმა ისიც დაუმატა, რომ ინგლისის მთავრობის სისტემა, რომელსაც ხმარობენ ავსტრალიასა და კანადაში, არ გამოდგება ბურებში, რომელნიც ინგლისიდან არ არიან გამოსულნი მსგავსად ავსტრალიელებისა, ანუ კანადელებისა».

დასასრულ, ფიშერს განუცხადებია, რომ თუ ინგლისი დაუდებს ბურებს ისეთ ზავის პირობებს, რომელებიც იმათ თავის მოუკარეობას არ შეეწინააღმდეგებიან, ბურები შერიგდებიან და ინგლისსაც სამხრეთ აფრიკაში მეტად სასარგებლო მოკავშირეები გაუჩნდებიანო.

※ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ უკეთესი, თუ რიდასთვის მიჰყავთ ბურებს ტუვეები, როდესაც მაშინვე ანთავისუფლებენ იმათაო. ამ გარემოებას ამნაირად ჰხსნის «ფრანკფურტერ �ტუნგი»-ს კაბშტადტელი კორესპონდენტი:

«აფრიკანდერთა კრებაზედ ვორჩესტერში მოვიდა სხვათა შორის რამდენიმე ინგლისელი ჯარის კაცი ერთი და იმავე პოლკისა: ზოგს მადგანს ეტყვა მუნდირი, ზოგს უბრალო კერძო ტანისამოსი ამსანაგებს გაუკვირდათ ამათი უცნაური ტანისამოსი. მოსულმა ჯარის კაცებმა პასუხად გაიშიშვლეს მარცხენა მკლავები. მკლავებზედ, კანზედ სისხლის ფერი წითელი ასოებით დამდა ჭქონდათ დაკრული. დ. ვ ო. (დეკეტს ოვნ — დეკეტის უმეები) ამ დამდის ასახსნელად დამდა დაკრულებმა სთქვეს, რომ დეკეტმა ტუვედ წაუვანის შემდეგ გამოგვიშვა იმ პირობით, რომ თუ გავბედეთ, კიდევ ვებრძოლეთ ბურებს და ტუვედ ჩაუვარდით, მაშინვე თოფით დაგხვრეტავსო. ეს ამბავი გვიჩვენებს, რომ ინგლისელები ტუეიდად არ მიჰყოლებიათ ტუვედ ბურებს: დამდა დაკრულები ᲬᲘᲠᲘᲗᲘᲗ ერიდებიან ბურებსა».

※ სამხრეთ აფრიკიდან იწერებიან, რომ დეკეტი ორანჟეს რესპუბლიკიდან ტრანსვაალში გადავიდა და შეუერთდა ბოტას. მეტის მეტად უკვირს ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, თუ რა თავისუფლად დაჰყავს დეკეტს თავისი ჯარი; ისე გაიყლის ხოლმე ინგლისელების ურიცხვ რაზმებს შუა, თარც კი ჭხედავსო, მაგრამ თუ ერთი კაბელა გზა შეუკრეს, მაშინვე [illegible] ამარცხებსო.

※ ჰფიქრობენ, რომ ბურები [illegible] ტემას კომატიბორტზედ რომელიც ზედ [illegible] ტუგალიის საზ ვარზედ დევს, რათა [illegible] გზა გაუხსნან ᲭᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚ და გერმანიელ დობტიორებს, რომელნიც დელაგოაში მოსულ ტრანსვაალში წასასვლელად.

※ ბურების ბოლონდელ გამარჯვებათა ამბმა გაამხნევეს იმათი მეგობრები ევროპაში; რი ავსტრიელი და გერმანიელი წავიდა დელაგოაში ბურების საშველად.

※ ინგლისის ჯარების დამარცხებამ სამხრეთ აფრიკაში გამოიწვია ირლანდიაში ხელ ახლ გაცხარებული მოქმედება ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ. საჯაროდ წარმოქმელ სიტყვა ორატორები აგონებენ ხალხს, ნუ შეხვალთ ინგლისის ჯარშიო და ურჩევენ ბირიქოთ შეეკრ ირლანდიელ რაზმში, რომელიც იბრძვის ტ სვაალში, რადგანაც ბურები და ჩვენ ერთ ფაში ვიწვითო და ორივეს ერთი საგანი აქ სო: ორივე დამოუკიდებლობისათვის ვებრძვი

※ ირლანდიელ ნაციონალისტებს გარდა, ინგლისის წესებით უმაუოფიდლნი არიან აგრ ირლანდიელი პროტესტანტებიც, უფლ ოდქში მცხოვრებნი. ამათ უნდათ, რომ მ რობამ გამოისუიდოს მებატონე ლორდებისა ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ფერმები. ამ საგანზედ უფაბარაკნია ᲐᲤ სტერის პროტესტანტთა ფერმერების მეთა რისსელს და უთქვამს, რომ ამ საგნის მი წევად იმოქმედებს ის ერთად ირლანდიელ ნაციო ლისტებთან.

※ რადგანაც ინგლისის ჯარი ძალიან გაუ ვებულ მდგომარეობაში ჩავარდა სამხრეთ აფ კაში, ინგლისის სამხედრო სამინისტრო დ მხნეობით აგროვებს ჯარის კაცებს ინგლი და ახალშენებში. მთავრობას უნდა, რო ჯარის გარდა, რომელიც ეხლა სამხრეთ-აფრ ში იმოფოფება და მარტო რკინის გზების და უნდება, შეადგინოს მთელი კორპუსი ახალი ჯარ რომელიც ახალის დონითა და ძალით დაიწ ბრძოლას ბურების წინააღმდეგ.

※ ინგლისის სამხედრო სამინისტრო ᲬᲐ ბავს 5000 ᲕᲝᲚᲝᲜᲢᲘᲝᲠს, რომლებსაც ᲤᲣᲚს აძლევს, მაგრამ იმ პირობით კი იგ კაცებს» რომ იმათ უსათოდ ომის დასრულ მდე იმსახურონ და თუ არა ერთი წელიწ მაინც. სამსახურში შემსვლელი ᲕᲝᲚᲝᲜᲢᲘᲝᲠ რჩებენ ერთის წლით კონტრაქტის დაწერ რადგანაც იმათ ჭკონიათ, რომ ომი ერთ წ წადზედ მეტს გასტანსო. აქამდე მხოლოდ 2 კაცი ჩაწერა, სულ ძველი ჯარის-კაცთაგანნი

※ ᲚᲝᲠᲓ ᲠᲝᲖᲑᲔᲠᲘᲛ სიტყვა წარმოსთქვა ᲒᲣ ᲕᲔᲠᲯᲐᲛᲔᲢᲝᲜᲨᲘ, რომელიც ის აზრი გამოსა რომ ინგლისის ვაჭრები ძალიერ უკან ჩამ ნენ ევროპის სხვა სახელმწიფოების მოვაჭრ სა. ამის აზრის შესახებ «ტაიმსი» ამბ მარტო ვაჭარი არ ჩამორჩა უკან ევროპას, მორწმენ ჩვენი პოლიტიკური წრეებიც. ჩამ ინგლისის მოელი მთავრობა და მმართ კლასსიც».

※ ამას წინათ ხმა გავარდა, ვითომ კანა

მშვიდობა და წესიერება, გაევრცელებინა ვაჭრობა, მეურნეობა და მრეწველობა. თვისი სურვილი მან კიდევაც შეასრულა და ისეთ მდგომარეობაში მიიყვანა სპარსეთი, როგორშიც ის თავის დღეში არ ყოფილა. გამეფებისათანავე შეუდგა უზბეკებისა და ოსმალების განდევნას ყველა იმ ადგილებიდან, რომლებიც ოდესმე სჭერია სპარსეთს. დაიმორჩილა და დააწყნარა სპარსეთის დიდებულები, რომლებიც წინად მუდამ ეურჩებოდნენ ყაენებს და არეულობას ახდენდნენ. თავისი სამეფო გვარი სამკვიდრო ჰქმნა მით, რომ დააარსა შაჰსევანთა რაზმი, რომელსაც მხოლოდ ერთი აღთქმა ჰქონდა დადებული — ერთგულობა ყაენისა და მის გვარისა. მკაცრად თხოულობდა, რომ მოსამართლეებს გაესამართლებინათ ყველანი სასულიერო კანონებისამებრ და შეუბრალებლად სჯიდა მათ, რომელნიც კი გზას უქცევდნენ სამართალს. ერთის მხრით რომ იარაღით ებრძოდა მტრებს და მათგან უზრუნველ-ჰყოფდა თავის სამეფოს, მეორე მხრით ცდილობდა მშვიდობიანობის ზავის შეკვრას და მეგობრობას მეზობელ და შორეულ სახელმწიფოებთან. იმას ესმოდა, რომ ერის ძლიერებას შეადგენდა არა მარტო იარაღის მარჯვე ხმარება, არამედ უმთავრესად შინაგანი მატერიალური ძალა, რომელიც გამოიხატებოდა მრეწველობაში, მეურნეობაში და ვაჭრობაში. ამიტომ ის ხმარობდა ყოველს საშუალებას, რომელიც ხელს შეუწყობდა მათ განვითარებას. იწვევდა ევროპიელს მრეწველებს და მფარველობას უწევდა მათ მოქმედებას სპარსეთში, გაჰყავდა არხები და გზები, აშენებდა ხიდებს და ქარავასლებს.

ყველა ამ ღირსებასთან შაჰ-აბაზს ჰქონდა ბევრი ნაკლულევანება, რომლითაც აიხსნება ბევრი ისეთი მისი საქციელი, რომელნიც ჩრდილს აყენებენ მის პიროვნებას და საზიზღრად ჰხდიან მას. სპარსეთის ისტორიას, რასაკვირველია, შეუძლიან დაივიწყოს მისი ნაკლულევანებანი და შეუნდოს მისი საქციელნი იმ დიდის სარგებლობისათვის, რომელიც მან მოუტანა სპარსეთს, მაგრამ საქართველოს ისტორია კი ვერ დაივიწყებს მისის პიროვნების ცუდს თვისებებს, რადგან სწორედ ამ ცუდის თვისებებით აიხსნება ის, რაც მან საქართველოს დამართა. ის იყო საქართველოს მტერი და ამიტომ საქართველოში იჩინა თავი მთელმა მისმა ავმა ბუნებამ.

შაჰ-აბაზი იყო ცბიერი, მზაკვარი, ეჭვიანი, შურიანი, ანჩხლი და ვერაგი. თავის მიზნის მისაღწევად ის ხშირად მიჰმართავდა ხოლმე ცბიერებას, თავს აჩვენებდა ყველას ისე, როგორიც სრულებითაც არ იყო და, ბოლოს, როდესაც თავისას მიაღწევდა, მზაკვრულად იცოდა მოქცევა. მას არ შეეძლო გულ-გრილად ეცქირნა სხვის უკეთესობისათვის, თავის თავზე რითიმე უმჯობესს ეცდებოდა უთუოდ დაეღუპა, ვინც უნდა ყოფილიყო იგი. გაბრაზების დროს არ იცოდა არავითარი დანდობა, სიბრალული და შეწყალება. თავის განზრახვის შესასრულებლად არაფერს ჰზოგავდა, ყოველივე შუალება მისთვის კარგი იყო და თავის რის განხორციელებისათვის არ ერიდებო მსხვერპლად მოეტანა არამცთუ კერძო პ ნი, არამედ მთელი ერიც. ვითომ მართ მორწმუნე და მიუკერძელი მუსულმანი ხ რად ცრუ-მორწმუნოებასაც იჩენდა.

ყველა ეს მისი ნაკლულევანებანი ᲪᲣ დად გამოჩნდებიან, როდესაც ჩვენ მო თხრობთ მის მოქმედებას საქართველო აქ კი ნებას მივცემთ ჩვენს თავს მოვიხ ნიოთ მხოლოდ რამდენიმე ფაქტი ცხოვრებიდან, რომელთაც გვაუწყებს სპ სეთის ისტორია და რომელნიც საკმა ახასიათებენ მის სატანურს ბუნებას.

დ. კარიჭაშვილ

(დასასრული იქნება)

...ურობას ჭსურს შუამავლობა გასწიოს ინგლისდა ბურებს შუაო. ეხლა ამ ხმის შესახებ ...ლი მაილს» ატეობინებენ კაპგიდან რომ ...ეგრმა კერძოთ სთქვა, როგორც ეტეობა, ...ზრი ჩემბერლენს ეკუთვნისო, რომელიც ...წმუნდა ეხლა, რომ ინგლისი დაიქანცა ომის...ო. შემდეგ კრიუგერს უთქვამს, რომ სამ...-აფრიკის ფედერაციის დაწესებას ინგლი... მფარველო ის ქვეშ, ჩვენ არასოდეს არ ...ანხმდებითო, ამაზედ დაპარაკიც კი არ ...ლებაო, რადგანაც მხოლოდ რესპუბლიკების ...ლს დამოუკიდებლობას შაუძლიან დაამყარონ ...ი მშვიდობიანობა სამხრეთ-აფრიკაშიო.

※ «სტანდარტს» ატეობინებენ ბრიუსელიდან, ...ამ ამსტერდამში მოხდა კრება ჰოლანდიის ...ხრეთ-აფრიკელი კავშირისა. ამ კრებაზედ გა...წყვიტეს შეადგინონ მთელი რაზმი ვოლონ...ორებისა და გაგზავნონ კაპის ახალშენში ბუ...ების საშველად.

※ «დაფფინის სააგენტოს» ატეობინებენ კაპ...ალტიდან, რომ ლორდ მეტუენის ხელმძღვა...ლობით ამ მოკლე ხანში იქმნება გამართული...ი სამხედრო მოქმედება ტრანსვალის დასა...ეთის საზღვრის ახლოს. ეს გაფაშქრება დაიწ...ება ფრიბურგიდან, სადაც მეტუენის მთავარი ...ბა იმეფოვება.

※ ინგლისის ჯარის გენერალისიმუსს ლორდ ...ბერტს უნდა, სულ მთლად ახალი წესე... შემოიღოს ინგლისის ჯარისათვის. მაგრამ ...ის აზრებს ძრიელ ეწინააღმდეგებიან თითონ ...მხედრო მინისტრი ბროდრიკი და სამხედრო ...ინისტრის უმაღლესი მოხელეები. როგორც ...ეობა, სამხედრო სამინისტრო სულაც არა ...ეწრობს მონასავით შესრულოს ყველა ბრძან...ები იმ სარდლისა, რომელმაც ასე ცუდად და...ო სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებს.

ახალი ამბავი

✦ დღეს მოხდება კრება ტფილისის გუ...ერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოსი; ამ ...ებაზე უნდა განიხილონ ქალაქის საბჭოს ...ადგენილება შესახებ ქალაქის გაყოფისა ...ამ საარჩევნო ნაწილად.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს განზ...ახვა აქვს დააჯილდოვოს ის მემამულენი, ...რომელნიც სამეურნეო წარმოების ორგანი...აციას და ტექნიკას გააუმჯობესებენ. უდი...ესი ჯილდო—3000 მან. და 300 მანეთად ღირებული ოქროს მედალი; მეორე ...ილდო—2000 მან. და 200 მანეთის ოქ...ოს მედალი და მესამე—500 მან. და 100 ...ანეთიანი მედალი.

✦ ქალთა სამეურნეო ინსტიტუტის ორ...ანიზაცია ეხლა სავსებით გამორკვეულია. ...ნსტიტუტში მიიღებიან საშუალო განათ...ების დიპლომიანები; წლიური სწავლის ...ასი—100 მანეთი იქნება. ვინც ამ ინსტი...ტუტში კურს დაამთავრებს, მიიღებს „ქალ...ბრონომის“ სახელწოდებას და ექნება უფ...ლება ატაროს შესაფერი ნიშანი.

✦ როგორც უკვე თავის დროზე დაწვ...ილებით გვქონდა აღნიშნული, შარშან ...ახალქალაქის მაზრაში მოუსავლობით და...ა 45 სოფელი; განსაკუთრებით 24 ...ალდა 45 სოფელი; განსაკუთრებით 24 ...ოფლის მცხოვრებთა ნათესობა ისე გაა...ხრა გოტენტოტურმა ბაღლინჯომ, რომ ...ალხი თურმე უკიდურეს მდგომარეობაშია. ...ბრონომ საკოვის გამოკვლევით, მცხოვ...ებთ 400 ათას მანეთამდე ზარალი მოუ...ია; გამოსაკვებია ახალს მოსავლამდე ...7,612 სული ადამიანი, რომელთაც დას...ირდებათ 176,120 ფუთი პური და სხვ. ...ანახმად სამეურნეო საზოგადოების საზო...ადო კრების დადგენილებისა, ამ დღეებში ...ამეურნეო საზოგადოების საბჭომ წარუდ...ინა მოხსენება ტფილისის გუბერნატორის ...ანამდებობის აღმასრულებელს, რომელ...ეაც სთხოვს იშუამდგომლოს კავკასიის ...თავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, ...რომ ნება დაერთოს ახალქალაქის მაზრაში ...ეწის ძვრისაგან დაზარალებულ მცხოვრებ...ია დამხმარებელ ტფილისის უმთავრეს კო...ეტეტს განაგრძოს შემოწირულებათა მი...ღება იმ თანხის შესადგენად, რომლითაც ...ემწეობა უნდა აღმოეჩინოს შარშანდელ მოუსავლობით 17612 დამშეულს სულს და აგრეთვე იშუამდგომლოს სათანადო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ შეუდგნენ ახალქალაქიდან გუმბრამდე განზრახულ შოსეს გზის მუშაობას, ისე რომ გზის კეთების დროს სამუშაო გაუჩინონ ახალქალაქის მაზრაში მოუსავლობით დაზარალებულ ხალხს.

✦ დღეს, 11 იანვარს, საღამოს 9 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექმნება ქალაქის სკოლების გამგე-კომისიას, რომელიც განიხილავს შემდეგ საქმეებს: 1) განცხადებას ტფილისის სახელოსნო სკოლის მასწავლებლის მელიქ-ალავერდოვისას ...ამაგირის მომატების შესახებ, 2) წარსულ წელს ხარჯს გადარჩენილ 861 მანეთის მასწავლებელ-მოსამსახურეთა შორის განაწილების შესახებ, 3) ქალაქის სახელოსნო სკოლის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელის ა. ი. ოჰანეზოვის ამ თანამდებობაზედ დამტკიცების შესახებ, 4) ქალაქის სკოლების კომისიის წევრთა შორის თვალ-ყურის გდების განაწილები შესახებ, 5) განცხადება მამადავითის ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლის გამგისბ. ს. აღნიაშვილისა ფულით შემწეობის აღმოჩენის შესახებ; 6) მოწერილობას ქალაქის მოურავისას ქალაქის მიხაილოვის სასწავლებლის გადაკეთების შესახებ და სხვანი. სულ კომისიას განსახილველად აქვს 8 საქმე.

✦ პარასკევს, 12 იანვარს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საბჭოს საფინანსო კომისიის წევრებისა ამა 1901 წლის ქალაქის გასავალ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის განსაგრძობად.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა ბ-ნმა ვედენეევმა დეპეშით მოიწერა, რომ 1900 წლის უფასო ბილეთებს და მოწმობებს შემდეგისათვის ძალა აღარ ექნებაო.

✦ გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია მთავარმართებლის-მიერ დამტკიცებული წეს-რიგი ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტში და წმინდა ნინოს სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯზედ მოსწავლეთა ჩარიცხვისა. ბავშვების მშობლებმა ან აპეკუნებმა, რომელთაც ჰსურთ ამ სასწავლებში მიაღებინონ ბავშვები სახელმწიფო ხარჯით, თხოვნები უნდა მიართვან მთავარ-მართებლის სახელზედ არა უგვიანეს 1-ლი მაისისა. თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ მეტრიკული მოწმობა, ყვავილის აცრის ძოწმობა, წოდების მოწმობა, საოჯახო და ნივთიერ მდგომარეობის შესახებ ცნობები პოლიციიდან და მამის სამსახურის ატესტატი. კანდიდატებად ჩარიცხულ ბავშვების მშობლებმა ყოველ წლობით მაისამდე უნდა წარადგინოს მთავარ მართებლის კანცელარიაში ცნობები იმის შესახებ, თუ რა ცვლილება მოხდა მათს საოჯახო და სამსახურის მდგომარეობაში.

✦ ამ მოკლე ხანში უნდა აირჩიონ ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარე ბ. ყორლანოვის მაგიერ, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა.

✦ ამ დღეებში სოფ. ზურნაბათში (განჯის მაზრა) მოკლეს დარაჯი შიხლია. მკვლელობა შემდეგ გარემოებებში მომხდარა: ციმბირიდან გამოქცეული ძმები გვარად აბას-ოღლები მისულან ზურნაბათში ერთი გლეხისას; გლეხს მაშინვე შეუტყობინებია ბოქაულისათვის, რომელმაც დაუყოვნებლივ დარაჯები შემოარტყა ხსენებულ გლეხის სახლს; ასტყდა სროლა ორივე მხრივ; ცოტა ხნის სროლის შემდეგ დარაჯები და სოფლელები სახლში შეცვივდნენ. ერთი ავაზაკთაგანი იმ წამსვე დანებდა პოლიციას, მეორემ კი ბოქაულს თოფი დაუმიზნა, მაგრამ მამასახლისმა ხელი აუკრა და ტყვია დარაჯ შიხლიას მოხვდა და იქვე მოჰკლა. ამის შემდეგ ეს ავაზაკიც შეიპყრეს და ორივე განჯის საპატიმროში გაგზავნეს.

✦ გუშინ შესდგა კრება ხმოსან-ტექნიკოსთა, რომელთაც ამოირჩიეს მცირე კომისია რობის მიერ წარდგენილ ფუნიკულერის პროექტის დაწვრილებით განსახილველად.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად ნავთლუღისა და მამუკაანთ სოფლის მცხოვრებლებმა განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში, რომლითაც თხოულობდნენ განეთავისუფლებინათ გარდასახადისაგან მათი ის მუშა საქონელი, რომლითაც ქალაქსა და სოფელს შუა სხვა-დასხვა ნაწარმოებს ეზიდებიან. ორშაბათს, 8 იანვარს, ქალაქის საბჭომ განიხილა-რა ამ საქმის შესახებ ქალაქის გამგეობის დადგენილება, დაამტკიცა იგი. ამ დადგენილებით, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, უარი გამოეცხადა მთხოვნელთ, მხოლოდ ეპატიათ მათ წარსული წლის დარჩენილი გარდასახადი.

✦ ბ-ნ სერობიანცის სახლი, სადაც ქალაქის სამკურნალოა მოთავსებული, ჯერაც არ არის შეკეთებული. ამიტომ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მიანდო არქიტექტორს ანნაზაროვს შეადგინოს გეგმა და ხარჯთაღრიცხვა ხსენებულ სახლის გადაკეთებისათვის და შეუთვალა სერობიანცს, რომ თუ იგი დანიშნულ ვადაზე არ მოახდენს საპირო შეკეთებას, თვით ქალაქი შეაკეთებს სახლს და დანახარჯს გამოურიცხავს სახლის ქირიდან.

✦ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ქალაქის გამგეობამ მოსთხოვა ლომბარდის გამგეს, რომ მან ყოველ კვირა წარმოუდგინოს ქალაქის კასაში ხუთას-ხუთასი მანეთი ლომბარდის 1898—1899 წლის შემოსავლიდან. ეხლა ლომბარდის გამგე პასუხად იწერება, რომ ლომბარდის ფინანსიურ მდგომარეობის გამო გამგეობის მოთხოვნის ასრულება ყოვლად შეუძლებელია. ლომბარდს ისე ცოტა თანხა აქვს, რომ 5 მანეთზე მეტს ვერ აძლევს დამგირავებელს.

✦ სამშაბათს, 9 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის მაზრის, სოფელ მადლაკის მცხოვრების გლეხის სოლომონ გიორგის ძის კობეშავიძისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მან 1900 წლის 19 მაისს სუმბათაშვილის ქუჩის მოსახვევში, როდესაც მეეტლე № 197 სედრეტინა ტანეშვილი ითვლიდა ფარნის სინათლეში ფულებს, მიეპარა, გამოსტაცა და გაიქცა, რომელსაც გამოუდგნენ და დაიჭირეს. წართმეული ფული კობეშავიძეს აღმოაჩნდა სულ 2 მ. 50 კ., რომელიც ჩექმის ყელში უნახეს. ბრალდებული ოდქის სასამართლოში გამოტეხილა და განუცხადებია, რომ შეეცდი და მაპატიეთო. ოდქის სასამართლოს, განუხილავს რა ეს საქმე, დამნაშავედ უცვნია იგი განძრახ ფულების წაგლეჯაში, რისთვისაც მიუსაჯნია ზოგიერთი უფლება უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 2 წელიწად ნახევარით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოდქის სასამართლოს განაჩენი.

მცირე შენიშვნა.

ჩვენი უკანასკნელი რეცენზია ზოგიერთებს არ მოსწონებიათ და ზოგნი კიდეც გაუწიწმატებია. ეს გასაკვირველიც არ არის, რადგან მართლის გაგონებას და გაგებასაც მომზადება სჭირია. ამიტომ არ გვინდოდა ყური გვეთხოვებინა იმ საყვედურისათვი, რომელიც გვესმოდა; მაგრამ რადგან ბეჭედითაც გამოილაშქრეს ჩვენ წინააღმდეგ („ივერია“ № 7), არ შეგვიძლია უპასუხოდ დავტოვოთ ჩვენი რეცენზიის მიერ გამოწვეული მითქმა-მოთქმა. და მერე რას გვისაყვედურებენ? ჩვენი შენიშვნის აზრი იყო შემდეგი: თეატრში მოსიარულე საზოგადოება ვერ მოიქცა სამართლიანად, როცა ნიჭიერსა და დამსახურებულ არტისტს ე. მესხს არ მიუტანა მის ბენეფისის დროს, როგორც ეს ჩვეულებაა, არავითარი საჩუქარი და ნაკლებ ნიჭიერების და ნაკლებ დამსახურებულების ბენეფისი კი უსაჩუქროდ არ ჩაივლის. ამ გვარი საყვედური ორ-თავიანი ჯოხიაო, გვეუბნებიან, რომლის მოქნევა ისე საზოგადოებისათვის არ არის საგრძნობელი, როგორც ასახიობთათვისო; ამისთანა საქციელის ერთ-გავლენით ერთი მსახიობი მეორის მიმართ სიძულვილით და შურით ...ციერგება — და სამუდამოდ მტრად ...ერ...ებთ, მართლის გაგონებას და გაგებას მომზადება სჭირია, ამიტომ, შესაძლებელია, ჩვენს სამართლიანს შენიშვნას ის „საშინელი“ შედეგი მოჰყვეს, რომელზედაც გვითითებენ; მაგრამ აქედან ჩვენ ის დასკვნა არ გამოგვყავს, რომ მართალი არ უნდა ითქვას ჩვენი არტისტების შესახებ; იქნება ამათ პირ-ფერობა უფრო მოსწონდეთ, მაგრამ ეს „მოწონება“, გამოვტყდებით, ჩვენთვის კანონი არ არის.

რაც შეეხება მოკამათეების შენიშვნას— „რათა ჰგონია ბ-ნს რეცენზენტს, რომ საზოგადოება უეჭველად მისი, რეცენზენტის, მითითებას უნდა აჰყვეს, სწორედ ის მსახიობი დააჯილდოვოს, რომელიც იმას ეპიტნავება“... „ეპიტნავება“-ს არც ჰქონია და არც ექნება ადგილი ჩვენს რეცენზიებში და ამას ნამდვილ ან განგებ ბრმის მეტი ყველა დაინახავდა და დაინახავს, რადგან ჩვენ მოკამათეებზე კარგად ვვესმის რეცენზენტის მოვალეობა.

რეცენზენტი

პროვინცია

დ. ზესტაფონი. ვერ წარმოიდგენ მკითხველო, თუ რა არის ჩვენი პატარა დაბა. აქ სულ სხვა ჯურის ხალხი სცხოვრობს. ვაი მას, ვინც აქაურ ბობოდების თავ-მოყვარეობას შეეხეგა. ის უსათუოდ ზესტაფონის მიდამოებს უნდა მოშორდეს. სულ მცირე რამ მათ ატოფებთ, აღშფოთებთ და გაზეთში რომ დასწეროთ რამე, თქვენი საქმე წასულია... დაუწყებენ ძებნას იმ შეჩვენებულ კორესპონდენტს. ხან ერთს ეძგერებიან და ხან მეორეს.

არ ცერთი საქმე ზესტაფონისა, რომელსაც კი საზოგადო მნიშვნელობა აქვს, არ მიდის ხეირიანად; ეს გარემოება მით აიხსნება, რომ, ჯერ ერთი, ზესტაფონის საზოგადოება სწავლა განათლებაზე მწერალად ბრძანდება და, მეორე, შენ-ჩემიანობით, კერძო, პირადი ინტერესით ჭდუბავენ საზოგადო და საკეთილდღეო საქმეებს.

ამას წინად ქუთაისის გუბერნატორის მოწერილობით დ. ზესტაფონში დეპუტატები უნდა ამოერჩიათ ერილობაზე ტოტა რიცხვი მცხოვრებლებისა გამოცხადდა, შეიქნა სჯა-ბაასი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ამოერჩიათ დეპუტატებად, ბევრი კაიძახდა, ამოეირჩიოთ ის, ვინც უწინ იყო ამ თანამდებობაზეო, და როდესაც იკითხეს, თუ ვინ იყვნენო, აღმოჩნდა, რომ არ იცოდნენ. მოდით თქვენ და ამისთანებს ელაპარაკეთ საზოგადო საქმეზე და დეპუტატების მნიშვნელობაზე. მათთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყოს დეპუტატად.

ზესტაფონში კიდევ ერთნაირი «სანიტარებია», რომლებიც ერთგულად მისდგომიან ზესტაფონის ქუჩების ანიავებას; ჩვენ მოგახსენებთ ზესტაფონის დორებზე; ზესტაფონში დორები ისე გამრავლებული არიან, რომ მათი გადაშენება ადმინისტრაციამ კიდეც რომ მოინდომოს, ვერარ მოახერხებს. ეს ოთხ-ფეხნი სულიერნი მიდგომიან თავიანთი დინგით და ლაშის არის ზესტაფონის ქუჩები მთლად გადაბრუნონ, დიახ, გაბატონებულ არს ამ ჟამად ზესტაფონში დორთა ხრო, და ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს ბრძოლაში დორები თუ....

დორები თუ ზესტაფონის ქუჩებს მოსვენებას არ აძლევენ და ძალს უთხრიან, სამაგიეროდ ჩვენი დროის მოქალაქე ლოთი-ფოთი დარდიმანდი ძმა-ბიჭები მთლად ზესტაფონს იკლებენ. კვირა ისე როგორ წავა, რომელიმე მოვაჭრის დუქნის შუაბანდი რომ არ ჩაუმტვრიონ და ან ქუჩებში ხმლისა და ხანჯლის ტრიალ-ბზიალი არ მოხდეს. აქამდის ჩვენებური «ანიაზებისაგან» ვიუკვეთ აკლებული და ეხლა, საუბედურად, ჩვენი გლეხ-კაცობაც ჩაერია ამ ფერხულში. ამისთანა უზომო ლოთობას ხელს უწყობს ზესტაფონში სამეიტნოები, რომელთა რიცხვი არის «ლეგიონ».

მანოელიძე

სოფ. ბეჯეთი. (სენაკის მაზრა) აქაურ მთავარ ანგელოზის ხის ეკლესიაში აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც ხიძველისა გამო სახურავიდან წვიმა ჩამოდის და როგორც კედელს, მხატვრობასაც მიზეზს აძლევს. ადგილობრივმა მდვ. ბ. თურქიამ და დ. ხორავამ (ორი სამრევლოა) საზოგადოებას არა ერთხელ გამოუცხადეს: წვენი სოფელი მახლობელ სოფლებს უკან არაფერში ჩამოურჩება, სხვაკან უმეტესობას ქვის ეკლესია აქვთ და ჩვენც შეუდგეთ გაშენებას, და თუ ამას გელარ შეგიძლებთ, ეს ძველი მაინც შევაკეთოთ. მაგრამ დღევანდლამდე უველა ეს, დარჩა «ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა», ამის მიზეზი ის არის, რომ რაკი ორი აზრი იყო, «ან ავაშენოთ ქვის და ან ეს შევაკეთოთ» — ორივე აზრს თავის მომხრე გამოუჩნდა და «პარტიობამ» ამას წინად კინაღამ ხანჯლების ტრიალამდე მიიყვანა საქმე. ამ გვარი უთანხმოებისგამო დღეს ეს ეკლესია უნუგეშო მდგომარეობაშია

აქ ქურდობა გახშირებულია წარსულ წელს ან ჩამოსთოვლის რამდენი ქურდობა მოხდა. მამასახლისის მეცადინეობით მიაკვლიეს ორს ხარის ქურდს. ქურდები სამართალში არიან მიცემული; წარსულ წელს უაჩადებმაც ჩამოგვიქროდეს ერთ ხელ; დაეცნენ მაქ. გეგენავას და წართვეს ასი მანეთი ფული და ოქროეულობა, ორასი მანეთის დირებული. ამ თვის პირველს, ერთი ძროხა მოჭვარეს საწყალ ქვრივს ტასია ალასანიასს რომელმაც პოლიციას შეატყობინა, მაგრამ ჯერ არა ჩანს.

სასამართლო

გუშინ, 10 იანვარს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ მეორე სისხლის სამოსამართლო პალატის მეორე სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა ერთი საყურადღებო საქმე ქ. ბაქოს მკურნალის ეფრემ ვართაპეტოვისა, რომელსაც ბრალად ედებოდა, რომ მან სასტიკის მოპყრობითა და იჭვიანობით და ხშირად ვითომც ცემითაც მიიყვანა იმ ზომამდე თავისი მეუღლე მარიამ ვართაპეტოვისა, ოქრომჭედლიშვილის ასული, რომ მან ბაქოში 1897 წელს 15 მაისს თავი მოიკლა. მარიამ ოქრომჭედლიშვილის ასულს დაუსრულებია ქუთაისის საქალებო გიმნაზია; რადგანაც მამა არ ყოლია და შინაურები სიღარიბეში ჰყოლია, იღებდა კერძოდ გაკვეთილებს, რომლებითაც თვეში 70—100 მანეთამდე იღებდა თურმე, და ასე თავის შრომით არენდა განსვენებული მოუძღურებულს დედასა და დებს. 1896 წელს ქუთაისში მისულა ეფრემ ვართაპეტოვი ქალანთაროვთან სტუმრად, სადაც გაუცვნია მარიამ ოქრომჭედლიშვილი. ვართაპეტოვს მარიამი ცოლად მოუნდომებია და კიდევაც მოულაპარაკნიათ ამის შესახებ. მარიამისაგან ცოლობაზე თანხმობის გამოცხადების შემდეგ ვართაპეტოვს მთელი თავისი წარსული ცხოვრება, ავი-კარგი აუწერია მარიამისათვის და უთხოვნია თავის მხრით ისიც გამოტეხილიყო ყველაფერში გულწრფელად და გაეცნო მისთვის თვისი ცხოვრება. ამის შემდეგ ვართაპეტოვი დაბრუნებული ბაქოში და იქიდან დაწვრილებით კიდევ თავის ცხოვრების შესახებ მოუწერია ესა და ეს დამავიწყდა და ეხლა გატყობინებო. ამ მოლაპარაკების შემდეგ ეფრემი და მარიამი დაქორწინებულან. რამდენისამე ხნის შემდეგ ცოლ-ქმართ უსიამოვნობა მოსვლიათ; როგორც საქმის გარემოებიდგანა სჩანს, ვართაპეტოვი მეტად იჭვიანი კაცი ყოფილა თურმე და ვითომც ცოლს არსად უშვებდა, თვალ-ყურს ადევნებდა, რომ წერილი არავისთან მიეწერა, განსაკუთრებით ნებას არ აძლევდა თურმე ქართულად დაეწერა, რადგანაც ეს ენა ვართაპეტოვს არა სცოდნია; და თუ მარიამი წერილის დაწერას მოინდომებდა თვითონ, ვითომც ვართაპეტოვი ეუბნებოდა და ის სწერდა. საქმე იმ ზომამდე მისულა, რომ, როგორც მოწმეების ჩვენებით გამორკვეულა, ცოლი ეფრემს კიდეც ძალზედ გაულახავს. ასეთ პირობებში ჩავარდნილი ქალი, როგორც საბრალმდებლო ოქმიდან სჩანს, ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ ბეერჯერ მიუმართავს ისეთ საშუალებისათვის, რომ თავი მოეკლა; ერთხელ კიდეც ასეთი განზრახვა ქმარსაც შეუტყვია, რომელსაც ჯეროვანი ზომები მიუღია და ცოლი სიკვდილისაგან გადურჩენია. ქალი ამის შემდეგ დედას უსასოო წერილს სწერდა ხოლმე და იმას აცხადებდა თურმე, ადრე თუ გვიან თავი უნდა მოვიკლავო. ქალს თავის განზრახვა კიდეც მოუყვანია სისრულეში 15 მაისს 1897 წ. პირველად ეს საქმე განუხილავს ბაქოს ოლქის სასამართლოს, რომელსაც უდანაშაულოდ უცვნია ვართაპეტოვი ცოლის ისეთ შევიწროების საქმეში, რომლის შედეგიც ქალისაგან თავის მოკვლა იყო და გაუმართლებია იგი. ოლქის სასამართლოს განაჩენზე ბრალმდებლის ამხანაგს სამოსამართლო პალატაში განუცხადებია პროტესტი, სადაც გუშინ იქმნა ეს საქმე განხილული. ბრალდებულს იცავდა პეტერბურგის ცნობილი ნაფიცი ვექილი ბ-ნი მირონოვი, რომელმაც თითქმის ორი საათი ილაპარაკა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ მარიამის თავის მოკვლის საქმეში ეფრემ ვართაპეტოვს არავითარი დანაშაული არ მიუძღვისო. სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა თავისი განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნა ცნობილი მკურნალი ეფრემ ვართაპეტოვი აღნიშნულს ბრალდებაში და მიუსაჯა მას ორის თვით ციხეში დაპატიმრება და შემდეგ საეკლესიო მონანიება.

წერილი რედაქციის მიმართ

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნთ ალექსანდრე თაბაგარს და ვიქტორ გაჩეჩილაძეს, რომლებმაც გადმოგვცეს ჩვენდამი რწმუნებულის სამკითხველოს სასარგებლოდ პირველმა—4 მან. ფულად და ერთი წიგნი—ყაზბეგის თხზულების მე-4 ტომი, მეორემ კი ფულად 5 მან. 35 კაპ. და სამი ცალი წიგნი, ღირებული ერთ მანეთად,—შეგროვილი დაბა ყვირილაში.

ყვირილის უფასო წიგთ-საცავ სამკითხველოს გამგე-წევრნი: ივანე არდიშვილი
ილია მაღლაკელიძე.

ბეტ ჰბურგის ბირჟა 9*) იანვარს.

ფექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,70
ბერლინზე 100 მარკაში.	45,87½
პარიზზე 100 ფრანკში	37,40
ლონდონზე ჩეკები	94,75
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,72½
ბირჟის დისკონტი	6½—7½

	მყიდვ.	გამყ.	გაყიდ.
	ფ	ა	ნ
4% სახელმწიფო რენტა.	—	—	96⅛
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	99¾	—	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა.	—	96	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	—	—	336
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	—	—	294½
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	—	218
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	87¾	—	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	—	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	—	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	—	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	—	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	93¾	—	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	—	—

*) მიღებულია ტფილისში 10 იანვარს, დილის 11 ს. და 30 წ.

რედაქტორი ალ. ჭეიშვილი.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

სასამართლოს ცნობები

—

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

13 იანვარს

მიხეილ ონიანისა, რომელსაც კაცის დაჭრა ედება ბრალად.

დიმიტრი მურადასაშვილისა, რომელსაც საქმიზო წესდების დარღვევა ჰბრალდება.

სამსონ გურეშიძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება.

ხაბაზა თორბაიასი, კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

არტემ ქალუაშვილი, კაცის დაჭრის ბრალი ედება.

ეფიმე კოჩიაშვილისა, რომელსაც ნამალევად არაყის გამოხდა ედება ბრალად.

კასიან ფილიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

16 იანვარს

დიმიტრი გვასარიასი, რომელსაც კაცის კვლა ედება ბრალად.

ლუკა მაისურაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე 1480 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

სტეფანე ნიკოლაიშვილისა, რომელსაც სალბის ჩადება ჰბრალდება.

ტაკუია ცხვედელიანი, რომელსაც ... ჩადენა ჰბრალდება.

20 იანვარს

ალექსი გულიტაშვილისა, რომელსაც ... მოკვლა ედება ბრალად.

მიხეილ აბესაძისა, გიორგი თათუაშვილისა, ლაზარე ჩალიჩეიშვილისა და იგანე დათუაშვილისა, რომელთაც ქურდობის ჩადენა ედებ ბრალად.

ტფილისის ბაზრები:

	გაიყიდა მეიდნებზე: ფუთი.	მან.	კაპ.	გაგზავნ. მან.
ხორბალი საუკეთესო	1	1	30	1
» წითელი	1	1	15	—
ქერი	1	—	70	—
სიმინდი	1	—	65	—
თქვილი სოფლისა	1	1	20	—
» უფრო მდარე	1	1	10	—
კომბოსტო	1	—	30	—
კარტოფილი	1	—	65	—
ხახვი	1	—	40	—
თივა	1	—	25	—
ბზე	1	—	23	—

შაშა რეხიანისა 1 სრული საკ. საწყობებ 38 მან., შაშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშ 3 მ. — კაპეიკიდან 4 მ.-მდე, ცხვარი თათ ლი 3 მ. — კ.-დან 4 მ. 60 კ.-მდე, ძრ და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 კ.-მ ხარი შესაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ., კამ საკლავი 26 მ.-დან 34 მანეთამდე

განცხადებანი.

ПОДПИСКА НА 1901 Г. ОТКТЫТА

„РОДИНА“

1901 г. (двадцать третій годъ изданія) 1901 г.

Вступая въ въ 1901-мъ г., въ двадцать третій годъ изданія, „РОДИНА“, какъ и прежд будетъ преслѣдовать свою постоянную цѣль, а именно: быть истиннымъ другомъ каждой русской сем Въ 1901 году „РОДИНА“ будетъ печатать въ журналѣ еженедѣльно отдѣлъ „современныя событія“, г читатели найдутъ „иллюстрированный обзоръ“ современной жизни всего міра, и, не увеличивая подписн цѣны, прибавляетъ еще шесть книгъ, вслѣдствіе чего подписчики получатъ вмѣсто прежнихъ 12—восе надцать книгъ.

Для участія въ „РОДИНѢ“ приглашены извѣстнѣйшія крупныя силы русской литературы и уже пріобр тены слѣдующія оригинальныя (не переводныя) сочиненія:

Графа Е. Саліаса—„Князья Гатевы“, историч. романъ Кн. М. Н. Волконскаго—„Черный человѣкъ“ истори ром.; Вас. И. Немировича Данченко—„Вольный Шамхаръ“, истор. ром.; А. Д. Апраксина—„Совѣсть“, ро изъ соврем. русск. жизни; В. Я. Свѣтлова—„Водоворотъ“, современ. ром. въ 3 част.; П. Н. Полевого „усмотрѣлъ“ историч. пов.; А. Е. Красницкаго—„Въ пасти дракона“, ром. на соврем. событія въ Кита Е. О. Дубровиной—„Подъ чужой волею“, историч. ром.; А. А. Соколова—„Новый человѣкъ“, повѣсть; Павлова—„У ступеней трона“ историческій романъ.

Кромѣ того, будутъ напечатаны романы, разсказы, повѣсти, стихотворенія, очерки, драмы, комед и водевили: И. Н. Потапенко, К. В. Назарьевой, А. И. Лаврова, М. Ф. Караулова, О. Н. Чюминой, А. Е Зартна, І. І. Ясинскаго, И. Вязовскаго, Е. И. Зариной и мног друг. извѣстн. писателей.

въ теченіе 1901 года каждый подписчикъ получитъ:

52 №№ иллюстрирован. литературнаго журнала, въ которомъ кромѣ романовъ, повѣстей, разсказовъ стихотвореній, выходятъ еженедѣльно, т. е., въ годъ

52 раза **„современныя событія“**—отдѣлъ, въ которомъ печатается иллюстрированный о зоръ событій изъ современной жизни всего міра, съ р сунками, портретами, видами и проч.

52 раза „Развлеченіе въ часы отдыха“—отдѣлъ, въ которомъ помѣщаются задачи, шарады, юмористи ческія сцены съ рисунками, семейныя игры и проч. Сверхъ того,

52 раза Политическая общественная газета: правительственныя распоряженія, внѣшняя и внутренн политика, новости дня, фельетоны, и проч.

18 восемнадцать книгъ, заключающихъ въ себѣ лучшія современныя и историческія пр изведенія литературы и общеполезныя свѣдѣнія по дому и хозя ству, гигіенѣ, народному здравію и пр.

ДАРОВЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ: 12 №№ Модъ и рукодѣлій, съ рисунками; 12 листовъ модныхъ выкроекъ н натуральную величину; 12 листовъ рисунковъ для вышивки; 12 №№ Нот для пѣнія и инструментовъ; 12 №№ „Для Дѣтей“: повѣсти, расказы съ рисунками; 12 №№ Сельскаго Хозяйств и Домоводства; 12 раскрашенныхъ листовъ узоровъ для тамбурныхъ, канвовыхъ и другихъ работъ; 12 вы пусковъ драматическихъ сочиненій подъ названіемъ: „домашній театръ“.

Въ числѣ восемнадцати (18) книгъ кромѣ романовъ и общеполезн. свѣдѣній, подписчики получатъ:

„божественная комедія“ первое въ Россіи стихотворное общедоступное изданіе поэмы Дант изображающей грѣхи и заблужденія людей, а также наказанія и р дости загробнаго міра. Поэма, названная авторомъ „Комедія“ и получившая затѣмъ, ввиду ея высоких достоинствъ, названіе „Божественная“, заключать 14.000 стиховъ, иллюстрирован. 135-ю большими рису ками Г. Доре и выходить при „РОДИНѢ“ въ полномъ стихотворномъ переводѣ О. Н. Чюминой, въ шест большихъ выпускахъ, изъ которыхъ въ 1901 году гг. подписчики получатъ два выпуска (3-й и 4-й), содер жащихъ въ себѣ до 5.000 стиховъ и около 50 большихъ рисунковъ.

„Словарь-травникъ и цвѣтникъ“—большое иллюстрированное изданіе (томъ IV-й, по лѣдній), содержащее описаніе растеній какъ цѣлебных такъ полезныхъ и вредныхъ, съ указаніемъ ихъ врачебнаго дѣйствія на человѣка и животныхъ и спосо бовъ приготовленія домашнихъ лѣчебныхъ средствъ, съ иллюстраціями и раскрашенными рисунками.

Сверхъ того, безплатно подписчики получатъ: 1) Стѣнной Табель-Календарь на 1901 г., отп чатанный разными красками; 2) Календарь-Собесѣдникъ на 1901 г.—книжка большого формата, въ двух частяхъ: часть I-я: Справочный отдѣлъ. Часть II Литературный отдѣлъ: повѣсти, разсказы и юмористика

3 и 4) Двѣ большія картины (олеографіи, отпечатанныя красками въ 22 тона, размѣр 56×35 сантиметр.); I) Бракъ въ Канѣ Галилейской. II) Іоаннъ Грозный въ своей сокровищницѣ.

Эти двѣ картины прекрасно исполнены масляными красками и по своему содержанію являются для ка дой семьи наилучшимъ напоминаніемъ о событіяхъ евангельской и русской исторіи.

Подписная цѣна за годъ безъ доставки **4 р.** Съ упаковкой и пересылкой во всѣ города и мѣста Россіи . . . . **6** руб.
ВЪ С.-ПЕТЕРБУРГѢ съ доставкой . . . . . **5** руб.
Въ Москвѣ, черезъ отдѣленіе конторы: углу Кузнецкаго и Неглинной, д. Третьякова. безъ доставки . . . . **5** руб.

РАЗСРОЧКА ДОПУСКАЕТСЯ: при подпискѣ — 2 рубля, 1-го марта—1 руб., 1-го іюня—1 руб., 1-го августа—1 р. и 1-го сентября—1 руб.

С.-ПЕТЕРБУРГЪ: 1) Лиговская ул., собств. д., № 114, и 2) Садовая ул., ъ. № 20.

Дозволено цензурою Тифлисъ, 10 Января 1901 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვახტანგ დიდი ქუჩა, № 27.